ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით ჭელიძის

ანგარიში 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით

მოგახსენებთ, რომ ჩემი უფლებამოსილების ცნობის დღიდან ვარ ჩართული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი. ასევე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიათა წევრი. ამ კომისიებში მუშაობის შედეგად მომზადდა მრავალი დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომებზე ინიცირებისთვის, რომელთაგან არაერთი უშუალოდ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებს ეხება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხოციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვისთვის.

- ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოს ადმინსტრაციული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;
- დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,
- ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრებისგან კარგვაზე კონტროლი ;
- მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებზე განხილული საკითხებია :

- ახალი ავტობუსების ექსპლუატაციაში ჩაშვება;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” მიერ 2020 წლის საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთობლივად განსახილველად;
- დეპუტატების მიერ სხდომის მიმდინარეობისას დაყენებული სხვადასხვა საკითხები;
- თბილისის ვიცე-მერისა და საფინანსო სამსახურის უფროსთან ერთად თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების განხილვა;
- 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა;
- დეპუტატების მიერ სხდომის მიმდინარეობისას დასმული სხვადასხვა საკითხის განხილვა.

- ერეკლე კუხიანიძის ფრაქციიდან ‘’ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო’’ გარიცხვის საკითხის განხილვა;
- ერეკლე კუხინიძე ქ. თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენება.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქციების პოზიციის შეჯერება.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოსდაცვის კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის გიორგი დოხტურიშვილის კანდიდატურის წარდგენა;
- მოსახლეობასთან კომუნიკაცია და წინადადებების ინიცირება მუნიციპალიტეტის პრობლემებთან დაკავშირებით;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობაში გაერთიანებული ფრაქციების მიერ სოციალური ღონისძიებების ორგანიზება კორონავირუსის პრევენციის მიზნით;
- კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელი ფინანსური ხასიათის ღონისძიებები;
- ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობის ახალი სქემის შემოღება;
- ქ. თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტები დაბიუჯეტის სეკვესტრი;
- ქ. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სეკვესტრირებული პროექტები და გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრები;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე განსახილველი საკითხები;
- წინასაარჩევნო გარემოს გამოწვევები;
- ფრაქციის „ქართულიოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა;

რაც შეეხება კომისიებს, საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 222 კომისიის სხდომა. კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 152 საკითხი .

თვითნებურად და მიწის ლეგალიზების კომისიაზე გაიმართა 54 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 3087-მდე საკითხი და მიღებულ იქნა შესაბისი გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, ამ საანგარიშო პერიოდში გაიმართა **11** სხდომა, სადაც განხილულ იქნა **18** საკითხი. დავესწარი ყველა სხდომას და მონაწილეობა მივიღე აგრეთვე ყველა საკითხის განხილვაში.

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ;
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში“

(კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი) ; 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში“ (კოდი: 020910-020919) ფარგლებში განხორციელებული სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი);

5. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 – 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ; 2. მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში; 3.„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 4.სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე პროექტები;
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
7. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
8. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2.კომისიაში შემოსული მიმდინარე წერილების განხილვა;
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. გასვლითი სხდომა, ,,დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა."

11. ა(ა)იპ “მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის” 2020 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 2020 წლის თებერვლიდან ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ 97 მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვები პროდუქტებით დავეხმარეთ.

ამავე დროს ნაყოფიერად მუშაობს დეპუტატის ბიურო, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამომრჩეველთან.

ბიუროში ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ნაძალადევი-ლოტკინის მოსახლეობის პრობლემების განხილვა. კვირაში ერთი დღე, კერძოდ ოთხშაბათი, გამოყოფილია მოქალაქეთა მიღებისთვის, თუმცა,საჭიროების მიხედვით, მათი მიღება სხვა დღეებშიც ხდება. მიმდინარეობს მათი პრობლემების განხილვა და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა. საჭიროების შემთხვევაში კი მოქალაქეებს შუამდგომლობა ეწევათ სხვადასხვა უწყებაში.

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით, შეხვედრაზე მოსული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს **2550** ადამიანს.

შეხვედრის დღეს მოსული მოსახლეობის მონაცემები:		
№	**საკითხი**	**რაოდენობა**
1	სოციალური	1770
2	ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა	157
3	დასაქმება	625

მოქალაქეთა დანარჩენი ნაწილი მოსულია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის რეკომენდაციის, შუამდგომლობის და სხვადასხვა თხოვნით. ხოლო იურიდიულ-სამართლებრივ საკითხზე მოსულებს, გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია.

ამ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში შემოვიდა **252** განცხადება, რომლებიც ეხება ფინანსურ დახმარებას, ოპერაციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მედიკამენტის დაფინანსებას, საშენი მასალის გამოყოფას, კეთილმოწყობას და სხვ. მათგან უმეტესი დაკმაყოფილებულია.

მოსული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადამისამართდა შესაბამის სტრუქტურებში. დანარჩენებს კი გაეწიათ სიტყვიერი კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მივდივართ და ვეცნობით თითოეული მოქალაქის პრობლემას.

ჩვენი ხელშეწყობით 43-ე ბაგა-ბაღის ადგილას იგეგმება ახალი ბაღის მშენებლობა და თბილისს კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების საბავშო ბაღი შეემატება.

სანერგე-მეურნეობაში 49-ე ბაღის წინ სკვერში 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სკვერის გაკეთება.

სისტემატიური შეხვედრები გვაქვს ხანდაზმულ ადამიანებთან, ვეტერანებთან. აღდგომა მივულოცეთ და საჩუქრები გადავეცით რაიონში მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებს. ამასთანავე, ლოტკინზე 2020 წელს დამონტაჟდა 50 ცალი საპარკე სკამი, თანხით 18750 ლარი. ასევე, 2019 წლის ბოლოს დაირგო 49 სხვადასხვა სახეობის ნერგი, ხოლო 2020 წელს 33 ნერგი.

ჩვენი შუამდგომლობით ჩაუტარდა გზის რეაბილიტაცია შემდეგ ქუჩებს:

დასახელება	ღირებულება
სააკაძისქუჩა N37-ის მიმდებარედ	6411,36
ც. დადიანისქუჩა N77-ის მიმდებარედ	24211,57
გორდისქუჩა	317120,69
სააკაძისქუჩა N34-ის მიმდებარედ	7738,09

ლოტკინის ხევის ქუჩის ნაწილი	226315,92
ზაქარაიას ქუჩის ქვედა ნაწილი	88685,32
ვ. თამარაშვილის ქუჩა (ყოფილი მესხიშვილი) 1-ლი შესახვევი	85006,97
ჩაქვისქუჩა	37119,02
ნიკომარის I შესახვევი N11-ის მიმდებარედ;	6620,27
სვანეთისქუჩისადასააკაძისქუჩისგადაკვეთა;	5027,44
თოდრიასქუჩა	416 314,92
სართანიას ქ. N1-ის მიმდებარედ	896,05
ზაქარაიას ქ. 78-სა და 100-ის მიმდებარედ	3 378,35
კლდეკარის ქ. 5-ის და 8-ის მიმდებარედ	11 114,43
წერონისისქუჩისადაგარეჯისქუჩისგადაკვეთა	8 058,95
წერონისის ქ. N27-ის მიმდებარედ	9 719,39
ზედაუბნის ქ. N17-ის მიმდებარედ	358,31
ლაითურის ქ. 68, 70. 75-ის მიმდებარედ	1 489,56
სამღერეთის ქ. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მიმდებარედ	32 889,30
ც. დადიანის 34, კორპუსი 7-ის მიმდებარედ	9 596,40
სვანეთისქუჩის N36-დან N42-მდე	5 263,50
სააკაძის ქ. N67-ის მიმდებარედ	7 107,81
მიქატაძის ქუჩის შესახვევში ტროტუარები	6600,09
მახალდიანის ქუჩა	105611,09
გეგუთის ქუჩის ზედა ნაწილი	189 715,49

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა შემდეგი საყრდენი კედლები:

ობიექტის დასახელება	ღირებულება
ღუდუშაურის ქ.N33	87 481,65
ინანიშვილის#20/წაღვერისN25	80 783,16
წრომის ქ.N23	27 231,51
წრომის ქ.N27	14 496,32
ლ. ცქიტიშვილის N33ა	27 434,89

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა შემდეგი საბავშვო ატრაქციონები:

ობიექტის დასახელება	**ღირებულება**
სამღერეთის ქუჩა N3	19 572.57
გარეჯის ქ. N40 მიმდებარედ. (სკვერში.)	17 359,81

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა შემდეგი გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორები:

ობიექტის დასახელება	**ღირებულება**
ფილიას ქუჩა N10-ის მიმდებარედ	17574,34
ხერთვისის ქ. სკვერის ტერიტორია	17 253,24

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა სპორტული მოედნები/რეაბილიტაცია:

ობიექტის დასახელება	**ღირებულება**
ც. დადიანის N34 მე-5 კორპუსის მიმდებარედ	38 517,52
სამღერეთის ქ. N5 მე-190 სკოლის მიმდებარედ	43 141,96

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია:

ობიექტის დასახელება	**ღირებულება**
ხერთვისის ქუჩის მიმდებარედ	50249,57
სამღერეთის N5(190-სკოლა)	153 675,92

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა სანიაღვრე/სადრენაჟე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია:

ობიექტის დასახელება	**ღირებულება**
უიარაღოს ქ. N1-გასასვლელი N4-თან სადრენაჟე-სანიაღვრე სისტემის მოწყობა.	11 053,64

ჩვენი შუამდგომლობით გაკეთდა შემდეგი პანდუსის მოწყობა:

ობიექტის დასახელება	**ღირებულება**
დ. ჟღენტის ქუჩა N45-ში პანდუსის მოწყობის სამუშაოები	14 153,74

მოქალაქეთა სოციალური და სხვა პრობლემების პარალელურად, მაჟორიტარის წარმომადგენლობაში განიხილება ნაძალადევის რაიონის კეთილმოწყობის და სხვა საკითხები.

წარმომადგენლობა მჭიდროდ თანამშრომლობს ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, ამავე რაიონის გამგეობის უბნის სამსახურთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.

აქტიური მონაწილეობა გვაქვს მიღებული ნაძალადევის რაიონის 2020 წლის ბიუჯეტ ის დაგეგმვაში და ასევე, აქტიურად განვაგრძობთ რაიონის პრობლემების შესწავლას და მათ მოსაგვარებლად მუშაობას.